

## GRASS-ის დეზინფორმაციის ბრიფი - კუთხის ომი უკრაინაში

1 აგვისტო - 7 აგვისტო

### მიმდინარე გამოცემის თემები:

- შიშის დამნერგავი ნარატივები ომის უკრაინის ფარგლებს მიღმა და საქართველოში გავრცელების შესახებ
- საქართველოში კრემლის მხარდამჭერები საფრთხეს უკრაინელ ლტოლვილებში ხედავენ, რადგან მათ შესაძლო რიცხოვრივად მალე ქართველებს „გადაუსწრონ“
- პროპაგანდისტული ნარატივები რუსების მოპყრობასთან
- ნაციზმის წინააღმდეგ ბრძოლაში კრემლის პერსპექტივით დანახული ადგილზე არსებული სამხედრო ვითარება
- პროპაგანდისტული ნარატივები ეკონომიკური სანქციების შესახებ
- პროპაგანდისტული ნარატივები უკრაინისთვის გაწეულ სამხედრო დახმარებასთან დაკავშირებით
- პროპაგანდისტული გამოცემა საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსის შეცვლას ლობირებს
- ყურადღება, ლაპარაკობს მოსკოვი: რუსული დეზინფორმაცია Facebook-სა და Instagram-ზე

---

## დეზინფორმაციული ნარატივები უკრაინის ომის შესახებ საქართველოში (1-7 აგვისტო)

---

### შიშის დამნერგავი ნარატივები ომის უკრაინის ფარგლებს მიღმა და საქართველოში გავრცელების შესახებ

ინტერაქციის მაჩვენებლების გათვალისწინებით, დომინანტური ნარატივის პოზიციები კვლავ შეინარჩუნა გზავნილმა, რომლის თანახმადაც დასავლეთი (აშშ და ევროკავშირი) და ქართული ოპოზიციური პარტიები საქართველოში რუსეთის წინააღმდეგ მეორე ფრონტის გახსნას ცდილობენ. ასევე ტრადიციულად, აღნიშნული გზავნილის მთავარ გამავრცელებელს წარმოადგენდა მმართველი „ქართული ოცნება“. რუსეთის წინააღმდეგ მეორე ფრონტის გახსნასა და საქართველოში რუსების მიმართ მოპყრობას შორის პარალელების გავლების გარდა, სახელისუფლებო პარტიის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ განაცხადა, რომ ვერ გამჟღავნებდა თუ რა განიხილებოდა დახურულ შეხვედრებზე, თუმცა აღნიშნა, რომ ასეთ შეხვედრებზე გამოხატული იყო და კვლავაც არსებობს პირდაპირი ინტერესი საქართველოს ომში ჩართვასთან დაკავშირებით. ირაკლი კობახიძის თქმით, კოლექტიურ „მათ“ (ირიბი მინიშნება საქართველოს დასავლელ პარტნიორებზე), სურთ საქართველო რუსეთთან ბრძოლაში მეორე ფრონტად აქციონ.

- „ქართულ ოცნებასთან“ აფილირებულმა ექსპერტმა და ფილოსოფოსმა ზაზა [შათირიშვილმა](#) [გამოაქვეყნა](#) [ღია წერილი](#) ბიძინა ივანიშვილის დასაცავად, სადაც ამტკიცებდა, რომ ერთ-ერთი უმსხვილესი შვეიცარიული ბანკი „კრედიტ სუისე“ აშშ-ს მხარდაჭერით აშანტაჟებს ივანიშვილს და ცდილობს, მას

საქართველოში მეორე ფრონტის გახსნა აიძულოს. ზაზა შათირიშვილის თანახმად, აშშ-ს ქართველი ხალხის ნების საწინააღმდეგოდ საქართველოში მთავრობის ცვლილება და ხელისუფლებაში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის დაბრუნება“ სურს, ხალხის მოტყუებისა და საქართველოში რუსეთის წინააღმდეგ ომის გაჩაღების მიზნით. ანტიდასავლურმა პოლიტიკურმა პარტია „ქართული იდეამ“ ასევე [გააჟღერა](#) ანალოგიური ნარატივი ბიძინა ივანიშვილის საჯარო წერილთან დაკავშირებით და ამტკიცებდა, რომ აშშ და ევროპა საქართველოს ომში ჩათრევას ცდილობენ. აღნიშნულის მსგავსად, „ალტ-ინფომ“ ასევე [გააჟღერა](#) მოსაზრება, რომ აშშ-ის მხრიდან საქართველოს ომში ჩათრევის მცდელობა მკაფიო იყო.

- „ქართულ ოცნებასთან“ აფილირებული ტელევიზია „იმედის“ ეთერში, ორგანიზაცია „სოლიდარობა მშვიდობისთვის“ თავმჯდომარე მერაბ [ჭიქაშვილი](#) [სპეკულირებდა](#), რომ დასავლეთმა მიხეილ სააკაშვილი საქართველოში ხელისუფლების ძალისმიერი გზით შესაცვლელად, ექსპრეზიდენტის მთავრობაში დასაბრუნებლად და რუსეთის წინააღმდეგ ომის დასაწყებად გამოგზავნა. სხვა წყაროები ასევე [ამტკიცებდნენ](#), რომ ოპოზიციური პარტიები საქართველოში მეორე ფრონტის გახსნას შეეცადნენ, მაგრამ საწადელს ვერ მიაღწიეს.

## **საქართველოში კრემლის მხარდამჭერები საფრთხეს უკრაინელ ლტოლვილებში ხედავენ, რადგან მათ შესაძლო რიცხოვნობად მალე ქართველებს „გადაუსწრონ“**

ინტერაქციის მაჩვენებლების მიხედვით, საქართველოში ომის დაწყებასთან დაკავშირებით შიშის დამნერგავი ნარატივის შემდეგ რიგით მეორე დომინანტური ნარატივი უკრაინელ ლტოლვილებს უკავშირდებოდა. აღნიშნული ნარატივი გასულ

კვირაში არ გამოიკვეთა, თუმცა როგორც მოსალოდნელი იყო, მთავრობის მიერ უკრაინელი ლტოლვილების მხარდაჭერის პოლიტიკაში შეტანილ ცვლილებაზე დაწყებულ განხილვის ფონზე, საკითხი მნიშვნელოვნად გააქტიურდა. უკრაინელი ლტოლვილების დახმარების ახალ მიდგომას ზოგი მხარდაჭერის შემცირებაზე აპელირებით აკრიტიკებდა, ხოლო პროპაგანდისტები საერთოდ დახმარების გაწევის წინააღმდეგ გამოდიოდნენ. პროპაგანდისტული ნარატივები მოსალოდნელზე უფრო ძლიერი აღმოჩნდა; განსაკუთრებით აქტიური გზავნილების თანახმად:

1. საქართველოში მყოფი უკრაინელი ლტოლვილები მდიდრები არიან, უკრაინის ბედი არ ადარდებთ და მხოლოდ საკუთარ გართობაზე ფიქრობენ
2. უკრაინელი ლტოლვილები ძირს უთხრიან ქვეყნის შიდა სტაბილურობას
3. უკრაინელი ლტოლვილები საქართველოს მოქალაქეებზე მეტად პრიორიტეტულ მდგომარეობაში იმყოფებიან და შესაბამისად, საქართველომ უკრაინელ ლტოლვილებს დახმარება უნდა შეუწყვიტოს:
  - Facebook-მომხმარებლის [თანახმად](#), ზამთრის მოახლოებასთან ერთად უკრაინაში მოსალოდნელია ჰუმანიტარული ვითარების კიდევ უფრო გაუარესება და შესაბამისად, უფრო მეტი ხალხი მიაშურებს უკრაინიდან ევროპას. თუმცა, პროპაგანდისტი ამტკიცებდა, რომ თუ თავდაპირველად ევროპული სახელმწიფოები გულთბილად და სიხარულით ხვდებოდნენ უკრაინელ ლტოლვილებს, ამჟამად ევროპელები მათ ეუბნებიან, რომ ადგილი აღარ აქვთ და თავშესაფარი სხვაგან უნდა ეძიონ.
  - ცნობილი ინფლუენსერი და პროპაგანდისტი, ლალი მოროშკინა, [ამტკიცებდა](#), რომ საქართველოში შემოსული უკრაინელები იმდენ ფულს ხარჯავენ გართობაზე, რომ ამ თანხით შეეძლოთ ნახევარი წლის მანძილზე დახმარებოდნენ საკუთარ თანამემამულეებს, რითაც მინიშნებდა, რომ უკრაინელებს საქართველოში ბევრი ფული აქვთ, არ ესაჭიროებათ დახმარება და არ ადარდებთ საკუთარი ქვეყანა. „ალტ-ინფოს“ ეთერში მოროშკინამ ასევე

განაცხადა, რომ უკრაინელი მაღალჩინოსნები ზელენსკის მეტაურობით, უკრაინელების რისხვისგან თავის დასაღწევად საქართველოში სახლებს და ბიზნესებს ყიდულობენ. მოროშკინას მოსაზრებით, საქართველომ უნდა შეზღუდოს უკრაინის მოქალაქეებზე სახლების და ბიზნესების გაყიდვა (საქართველოში დისკუსია ამ თემაზე რუსებთან დაკავშირებით მიმდინარეობს და მოროშკინას ეს არგუმენტი კონტრბრალდების პროპაგანდისტული ტაქტიკის ტიპურ მაგალითს წარმოადგენს), რადგან თუ ყველა უკრაინელი ლტოლვილი, რომელთა საერთო რაოდენობა 5 მილიონს შეადგენს, საქართველოში ჩამოვა, ქართველები უმრავლესობაში აღარ იქნებიან და საბოლოოდ უკრაინელები საქართველოს ტერიტორიას რბილი ძალით დაიკავენ.

- სოციალურ მედიაში გავრცელებული კიდევ ერთი მტკიცების [თანახმად](#), უკრაინელ ლტოლვილებზე არ უნდა გაიცემოდეს ფინანსური დახმარება, რომელიც უფრო მეტია იმაზე, რასაც „მშვიერი პენსიონერები“ იღებენ და არ უნდა ცხოვრობდნენ პრესტიჟულ სასტუმროებში, რადგან შეუძლიათ მუშაობა, მაშინ როდესაც ქართველების ერთი მესამე სიღარიბეში ცხოვრობს, მეორე მესამედი კი იძულებით ქვეყნიდან არის წასული ლუკმაპურის საშოვნად. აღნიშნული მტკიცებით, თუ ვინმეს (იგულისხმება უკრაინელი ლტოლვილი) უნდა, რომ საკვები ჰქონდეს, მან მონასავით უნდა იშრომოს და თუ ვინმეს სურს ადვილად იშოვოს ფული, მაშინ, მტკიცების ავტორი ჟურნალისტის თანახმად, მან პროსტიტუციას უნდა მიჰყოს ხელი.
- პრორუსული „ალტ-ინფოს“ წამყვანმა, თათია გაბრიჭიძემ, [განაცხადა](#), რომ რუსოფობიისა და საქართველოში სტუმრად მყოფი ან მცხოვრები რუსების მიმართ ზიზღის გაღვივების ნაცვლად, საზოგადოებამ ყურადღება უნდა მიაქციოს უკრაინელების დიდ რაოდენობას, რომლებიც, მისი თქმით, საქართველოში დასახლდნენ. თათია გაბრიჭიძე ასევე ამტკიცებდა, რომ

ამჟამად საქართველოში მყოფი უკრაინელი მამაკაცები გართობით არიან დაკავებული, მაშინ როდესაც მათი ქვეყანა ომშია. გადაცემაში მოწვეული რესპონდენტი, პროპაგანდისტი ხათუნა ხოფერია (ყოფილი დეპუტატი, რომელიც ამჟამად სკანდალურად ცნობილ პრორუსულ ფიგურა ლევან ვასაძესთანაა ასოცირებული), დაეთანხმა თათია გაბრიჭიძის შეფასებებს და ამტკიცებდა, რომ დღევანდელ დღეს ევროპაში აგრესია შეინიშნება უკრაინელი ლტოლვილების და არა რუსების მიმართ.

## **პროპაგანდისტული ნარატივები რუსების მოპყრობასთან**

პროპაგანდისტულ მედიაში გამოჩნდა ნარატივი რუსებისადმი მოპყრობის შესახებ, რომელიც გასულ პერიოდებში არ ფიქსირდებოდა. ამჟამად, საქართველოში შემოსულია დიდი რაოდენობით რუსეთის მოქალაქე (და ეს ტენდენცია ახლაც გრძელდება) და ქვეყანაში დაწყებულია საჯარო განხილვა რუსებისთვის სავიზო რეჟიმის შემოღებასთან ან მათთვის ქონების შეძენის/ბიზნესის რეგისტრაციის შეზღუდვასთან დაკავშირებით. რუსული პროპაგანდა აღნიშნულს აფასებს, როგორც თავდასხმას მის მოქალაქეებზე და ამ მხრივ მნიშვნელოვნად გააქტიურდა ძალისხმევა, მათ შორის წამყვანი არხების მეშვეობით. მმართველი პარტიის წევრებმაც კი ოპოზიცია, არასამთავრობო ორგანიზაციები და სახალხო დამცველი ქსენოფობიასა და რუსოფობიაში დაადანაშაულეს. პროპაგანდისტულმა წყაროებმა გაავრცელეს გზავნილები, რომ საქართველო რუსოფობიური ქვეყანაა, რუს ტურისტებს საქართველოში თავს ესხმიან და დასავლეთი და მისი მხარდამჭერები აღნიშნულ პროცესს ორგანიზებას უწევენ რუსოფობიის გაღვივებისა და რუსეთთან დამაბულობის გამოწვევის მიზნით. ამასთან საყურადღებოა, რომ აღნიშნული ნარატივი შერწყმულია იმ ნარატივთან, რომლის მიხედვითაც დასავლეთი საქართველოში მეორე ფრონტის გახსნას ცდილობს - შემუშავდა გზავნილი, რომ რუსეთსა და საქართველოს შორის ომის გამოწვევის მიზნით დასავლეთი ჩართულია



საქართველოში მყოფ რუსებზე თავდასხმების ორგანიზებაში. მაგალითად, მმართველი „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე [ამტკიცებდა](#), რომ „ქსენოფობიური კამპანიის ავტორებს სურთ რამენაირად ჩაითრიონ საქართველო სამხედრო კონფლიქტში“. პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის [განცხადებით](#), „რადგანაც მათ (იგულისხმება ოპოზიციის წარმომადგენლები, ვინ მისი აზრით მოლაპატეები არიან) ვერ მიაღწიეს საკუთარ მიზანს და ვერ გახსნეს მეორე ფრონტი საქართველოში, ცდილობენ რამენაირად ავნონ ჩვენს მოქალაქეებს და შეაფერხონ ტურისტების შემოსვლა“.

- პრორუსული „კონსერვატიული მოძრაობის“ ლიდერები, ირაკლი მარტინენკო და გიორგი ქარდავა, [ამტკიცებდნენ](#), რომ რუს ტურისტებს მასობრივად დევნიან რუსეთის „გაღიზიანებისა“ და პროვოცირების მიზნით და აღნიშნული კამპანია კარგად არის ორგანიზებული. მათი თქმით, ლიბერალები საქართველოში ცდილობენ, საზოგადოებაში რუსოფობია გაღვივონ და მასშტაბური აგრესია გამოწვევიონ იმ ადამიანების მიმართ, ვინც რუსეთთან მოლაპარაკებებს მხარს უჭერს. ირაკლი მარტინენკო და გიორგი ქარდავა ასევე აცხადებდნენ, რომ ეს თავდასხმები რუსი ტურისტების წინააღმდეგ რუსეთის წინააღმდეგ მეორე ფრონტის გახსნის წარუმატებელი ძალისხმევის შემდეგ ორ ქვეყანას შორის დამაბულობის გამოწვევის ახალ მცდელობას წარმოადგენს. მათ ხაზი გაუსვეს, რომ კამპანიის ორგანიზატორები აცნობიერებენ, რომ რუსეთი ისეთი სახელმწიფოა, რომელიც რეაგირებას მოახდენს სხვა ქვეყანაში მისი მოქალაქეების წინააღმდეგ განხორციელებულ თავდასხმებზე, სულ მცირე, განცხადების გზით და შესაბამისად, სწორედ ეს არის მიზეზი, თუ რატომ ცდილობენ ლიბერალები რუსოფობიის გაღვივებას.
- პრორუსული „ალტ-ინფო“ [ამტკიცებდა](#), რომ რუსეთის მოქალაქეების მიმართ სიძულვილისა და აგრესიის გაღვივების მიზნით ლიბერალები საქართველოში მყოფი რუსი ტურისტების წინააღმდეგ მასობრივ რუსოფობიურ კამპანიას

ეწევინ. პრორუსული ტელეარხის თანახმად, დასავლეთისგან დაფინანსებული მოლაპატეები საქართველოში რუსების ტურისტად შემოსვლის შეზღუდვის საჭიროებასთან დაკავშირებით პროპაგანდას ავრცელებენ. „ალტ-ინფოს“ თანახმად, აღნიშნული კამპანია წარმოადგენს რუსეთთან მეორე ფრონტის გახსნის მცდელობის შემდეგ ამოქმედებულ „გეგმა ბ“-ს. პრორუსულ „ალტ-ინფოსთან“ ინტერვიუში, ანტიდასავლური პოლიტიკური მოძრაობა „ქართული დასის“ ლიდერი ჯონდი ბალათურია აცხადებდა, რომ აშშ-მა, მას შემდეგ რაც ვერ შეძლო საქართველოს მთავრობაზე ზეგავლენის მოხდენა ქვეყნის ომში ჩასათრევად, ტაქტიკა შეცვალა და ამჟამად რუსი ტურისტების სახით ახალი სამიზნე ჰყავს. ჯონდი ბალათურიას თანახმად, ქართველებსა და რუსებს შორის ეთნიკური კონფლიქტის გაღვივებით, აშშ საქართველოში სამოქალაქო არეულობის პროვოცირებას ცდილობს. იგი ასევე ამტკიცებდა, რომ აღნიშნული წარმოადგენს ბაიდენის ადმინისტრაციის ახალ ტენდენციას, რომელიც ითვალისწინებს რუსეთთან კონფლიქტის მაქსიმალურად ბევრი ცხელი კერის შექმნას და განაცხადა, რომ საქართველო მათი ერთ-ერთი სამიზნეა.

- პრორუსული „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ და მასთან აფილირებული „ტვ ობიექტივი“ [ამტკიცებდნენ](#), რომ დასავლეთი საქართველოს აიძულებს, ცუდად მოეპყროს რუსებს, რადგან დასავლეთი თვითონ ცუდად ეპყრობა მათ. მათი განცხადებით, დასავლეთსა და მის მხარდამჭერებს საქართველოში არ ადარდებთ ადამიანების უფლებები როდესაც საქმე რუსებს ეხებათ. შესაბამისად, დაასკვნეს, რომ რუსები მტრებად განიხილებიან იმიტომ, რომ ვერ აკმაყოფილებენ დასავლეთის მიერ დაწესებულ კრიტერიუმებს და ქართველები შესაძლოა, ანალოგიურ ვითარებაში აღმოჩნდნენ, თუ დასავლეთი საქართველოს ისეთ კრიტერიუმებს დაუწესებს, რომლის შესრულებაც საქართველოს არ ენდომება. „ტვ ობიექტივის“ ეთერში გაჟღერებული კიდევ ერთი მტკიცების თანახმად, უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით



საქართველომ უნდა გამოაცხადოს ნეიტრალიტეტი, რადგან NATO საქართველოს საკუთარ რიგებში არ იღებს და აშშ-ს საქართველო მხოლოდ რუსეთის გასაღიზიანებლად სჭირდება. „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ კიდევ ერთი ლიდერი საერთოდ ომის შემდეგ ეჭვქვეშ აყენებდა NATO-ს არსებობის გაგრძელებას.

- პროპაგანდისტული Facebook-გვერდი 20212-იანელები [ამტკიცებდა](#), რომ რუსების წინააღმდეგ მიმართული ნაციზმი საქართველოში ფეხს იკიდებს და ამას სახალხო დამცველი ყურადღებას არ აქცევს. გვერდი წერდა, რომ ეთნიკური ნიშნით რუსების არასათანადოდ მოპყრობა ფაშიზმია. გვერდის შეფასებით, აღნიშნულის მიზანს წარმოადგენს რუსეთის გაბრაზება, რომ მან საქართველოს დაარტყას და ომი დაიწყოს.

## ნაციზმის წინააღმდეგ ბრძოლაში კრემლის პერსპექტივით დანახული ადგილზე არსებული სამხედრო ვითარება

გასულ კვირაში რუსეთის სამხედრო კამპანიას უკრაინაში პრაქტიკულად შეჩერებული იყო, თუმცა იმავეს ვერ ვიტყვით უკრაინაში შეჭრის გამართლებასა და რუსეთის სამხედრო სიძლიერის განდიდებაზე ორიენტირებულ კრემლის პროპაგანდისტულ კამპანიაზე:

- პრორუსული „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ ხელმძღვანელი დავით თარხან-მოურავი [ამტკიცებდა](#), რომ უკრაინა აგრძელებს ტერიტორიების დაკარგვას და ქალაქები ერთმანეთის მიყოლებით გადადის რუსეთის კონტროლქვეშ. მისი თქმით, უკრაინას არ ჰქონია რაიმე სახის სამხედრო წარმატება და საბოლოო ჯამში შეწყვეტს არსებობას, როგორც სახელმწიფო.
- პრორუსულმა Facebook-გვერდმა ხოტბა [შეასხა](#) რუსეთის შეიარაღებულ ძალებს და მათ დაუმარცხებლები უწოდა. გვერდის მტკიცებით, არავის შეუძლია

გაუძლოს რუსულ არმიას და გააჟღერა ყალბი ამბავი, რომ [ამერიკელი სამხედროები](#) ერთი თვის განმავლობაში იბრძოდნენ უკრაინაში რუსული არმიის წინააღმდეგ, თუმცა შემდეგ განაცხადეს, რომ ვერ დაუპირისპირდებოდნენ რუსულ ჯარს და გაიქცნენ. აღნიშნულიდან გამომდინარე, პროპაგანდისტული გვერდი აშშ-ის არმიას „არაფრის მაქნის“ უწოდებდა. გვერდი ასევე ამტკიცებდა, რომ უკრაინელი სამხედროები ქალაქებიდან გაიქცნენ და ისინი რუსებს დაუტოვეს. Facebook-გვერდის ინფორმაციით, რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა ასევე შეძლეს „ჰაიმარს“-ის სისტემების განადგურება, თუმცა რეალურად ამის შესახებ დადასტურებული ინფორმაცია არ გავრცელებულა.

- პრორუსულმა გამოცემა „საქართველო და მსოფლიო“-მ ფრანგულ მედია „ფრანსპრესში“ გამოქვეყნებულ სტატიაზე დაყრდნობით [განაცხადა](#), რომ დონბასში მცხოვრები ადგილობრივების თანახმად, უკრაინელი ჯარისკაცები მიტოვებულ სკოლებსა და საცხოვრებელ სახლებში იმალებიან და რუსმა სამხედროებმა ეს იციან. „საქართველო და მსოფლიო“ ასევე ამტკიცებდა, რომ დონეცკის ოლქის გუბერნატორმა პავლე კირილენკომ დაადასტურა, რომ ბევრი ადგილობრივი ელოდება რუსულ სამყაროს ანუ რუსულ არმიას. „საქართველო და მსოფლიოს“ [ცნობით](#), შვედურ ტელეარხ „SVT“-ს სიუჟეტში ხერსონში მაცხოვრებლები რუსული პასპორტის აღებასთან დაკავშირებით სიხარულს გამოხატავდნენ.
- „სპუტნიკმა“ უკრაინაში ომის გაჩაღებასთან დაკავშირებით აშშ-ს [დასდო](#) ბრალი და ამტკიცებდა, რომ აშშ ამჟამად იმავეს ცდილობს თაივანთან მიმართებით.
- Facebook-გვერდმა „სექტა“-მ [განაცხადა](#), რომ ყირიმის ოკუპაციასა და ანექსიაში აშშ იყო დამნაშავე, რადგან ამის მიზეზს კიევში ლეგიტიმური მთავრობის დამხობა წარმოადგენდა. გვერდი ამტკიცებდა, რომ მაიდანის რევოლუცია აშშ-

ის მიერ ორკესტრირებული და ორგანიზებული იყო. გვერდის მტკიცებით, მსგავსი სცენარი განვითარდა 2008 წელს საქართველოში.

- პრორუსულმა „ტვ ობიექტივმა“ [განაგრძო](#) ზელენსკის შეურაცხყოფა და ის უკრაინაში ომის პროვოცირებაში დაადანაშაულა. მედიის თანახმად, ზელენსკის მიერ ჩადენილი „სულელური ქმედებები“ უკრაინას გაანადგურებს.
- ქართველი Facebook-მომხმარებლებმა რუს სამხედროებს, როგორც ფაშიზმის წინააღმდეგ მებრძოლ გმირებს, ქება [მიუძღვნეს](#) და ამტკიცებდნენ, რომ ისინი ჰოლივუდის პერსონაჟებზე, მათ შორის სუპერმენსა და ბეტმენზე უფრო მაგრები არიან. ამას გარდა, პრორუსული Facebook-გვერდი უკრაინის დროშას „ნაცისტურ დროშას“ [უწოდებდა](#). აღნიშნული გზავნილების მიზანს წარმოადგენდა უკრაინის ნაცისტურ და ფაშისტურ სახელმწიფოდ წარმოჩენა და ხაზგასმა, რომ აქედან გამომდინარე, რუსეთის „სპეციალური სამხედრო ოპერაცია“ კეთილშობილურ მიზანს ემსახურება.

## პროპაგანდისტული ნარატივები ეკონომიკური სანქციების შესახებ

პრორუსულ პროპაგანდისტურ ეკოსისტემაში სისტემატურად არის ნარატივები ეკონომიკური სანქციების ზეგავლენის შესახებ, ხოლო გზავნილებს, რომ სანქციები რუსეთზე გავლენას ვერ ახდენს, თუმცა ზიანს აყენებს დასავლეთს, რომელსაც ენერგოკრიზისი ემუქრება, მუდმივი ხასიათი აქვს. გასულ კვირაში, გამოიკვეთა რამდენიმე გზავნილი, რომლებიც არ გამოირჩეოდა მაღალი პოპულარულობით, თუმცა სხვა ნარატივებთან შედარებით, რეიტინგის შუა პოზიციებზეა.

- პრორუსული Facebook-მომხმარებელი, რომელიც წარსულშიც პროპაგანდისტული ნარატივების გავრცელებით იყო დაკავებული, [ციტირებდა](#) კრემლის პრესსპიკერ დმიტრი პესკოვს, რომელმაც განაცხადა: „არ გადაიხდიან საფასურს, არ იქნება გაზინ“, და ამტკიცებდა, რომ ევროპას არ ჰქონდა სხვა

არჩევანი და ბუნებრივი გაზის იმპორტის საფასური რუბლებში უნდა გადაეხადა. Facebook-მოხმარებელი ასევე ამტკიცებდა, რომ ზამთრის მოახლოებასთან ერთად დასავლეთმა საჭიროა, შეშის მომარაგება დაიწყოს და სარკასტულად დასძინა, რომ შეშის შემოტანაც კი რუსეთიდან არის საჭირო.

- პრორუსული მედია „ტვ ობიექტივის“ ეთერში, პრორუსული „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ თავმჯდომარე დავით თარხან-მოურავი [ამტკიცებდა](#), რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთი მსოფლიოს სიდიდით 36-ე ეკონომიკად იქცა. დავით თარხან-მოურავის თანახმად, წლების განმავლობაში რუსეთის ეკონომიკამ ძალა მოიკრიბა და თავდაპირველად მსოფლიოს მე-10 ეკონომიკა გახდა, შემდეგ მე-9 და დღევანდელ დღეს მსოფლიოს მე-6 ეკონომიკაა. აღნიშნულ სტატისტიკაზე დაყრდნობით, დავით თარხან-მოურავი ამტკიცებდა, რომ რუსეთის ეკონომიკის შესუსტებაზე ნებისმიერი საუბარი საფუძველს მოკლებულია.
- საქართველოს ეკონომიკასა და ქვეყნის სავაჭრო პარტნიორებზე საუბრისას, „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერმა დავით თარხან-მოურავმა [გაიხსენა](#) რუსეთის, როგორც საქართველოს სიდიდით მეორე სავაჭრო პარტნიორის ამჟამინდელი სტატუსი, რაც პრორუსი პოლიტიკოსის შეხედულებით არ არის საკმარისი. აღნიშნულის ნაცვლად, დავით თარხან-მოურავმა წამოაყენა იდეა, რომ რუსეთი საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი უნდა იყოს და ამტკიცებდა, რომ ქართული სოფლის მეურნეობის ყველა პროდუქტზე უდიდესი მოთხოვნა, ღვინის ჩათვლით, სწორედ რუსულ ბაზარზეა. „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერის დასკვნით, ის ფაქტი, რომ რუსეთი საქართველოს ნომერი პირველი სავაჭრო პარტნიორი არ არის მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ თბილისი თავს იკავებს მოსკოვთან უფრო ძლიერი ეკონომიკური კავშირების დამყარებისგან და შესაბამისად, საკუთარ თავს უწესებს სანქციებს. აღნიშნულის გარდა, დავით თარხან-მოურავმა

გააჟღერა, სომხეთის მსგავსად, პარალელური იმპორტის სქემაში ჩართვისა და რუსეთისთვის სანქციების გვერდის ავლაში დახმარებით სარგებლის მიღების იდეა.

- „ალტ-ინფოს“ ეთერში საუბრისას, პრორუსული კონსერვატიული მოძრაობის ლიდერი ზურაბ მახარაძე [ამტკიცებდა](#), რომ რუსეთი უკიდურესად შეურაცხყოფილად გრძნობდა თავს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, თუმცა ამჟამად რუსებმა იციან, რომ სანქციები მათ ვერ დააზიანებთ და იქამდე იბრძოლებენ სადამდეც საჭირო იქნება.
- პრორუსულად განწყობილი Facebook-მომხმარებელი [ამტკიცებდა](#), რომ სანქციები რუსეთისთვის მართლაც სასარგებლოა და აპელირებდა როგორც რუბლის გამყარებაზე, ისე უცხოელი კონკურენტების ბაზრიდან გასვლის შემდეგ რუსული მრეწველობისთვის შექმნილ ხელსაყრელი ვითარების შექმნაზე. აღნიშნული Facebook-მომხმარებელი ამტკიცებდა, რომ ანტირუსული სანქციების გამო შექმნილი ენერგოკრიზისის ფონზე დასავლეთი ძალიან რთულ ვითარებაში აღმოჩნდა, რომელიც ზამთრის მოახლოებასთან ერთად კიდევ უფრო გაძლიერდებოდა
- პრორუსული გამოცემა „საქართველო და მსოფლიო“ ევროპაში ენერგომატარებლებზე მაღალ ფასებთან დაკავშირებით [ცდილობდა](#) საზოგადოების დარწმუნებას, რომ ჰოლანდიაში ადამიანები იძულებულები არიან შემა მოიმარაგონ და ბუხრები ააშენონ. გარდა ამისა, „საქართველო და მსოფლიო“ ამტკიცებდა, რომ ზამთრის მოახლოებასთან ერთად, შესაძლოა, შეშის დეფიციტიც გაჩნდეს, მაშინ როდესაც მოთხოვნა ბუხრებზე მნიშვნელოვნად არის გაზრდილი.
- პრორუსული Facebook-გვერდი გადაჭარბებით აფასებდა ევროპის დამოკიდებულებას რუსულ ენერგორესურსებზე და [ამტკიცებდა](#), რომ ამჟამად

ევროპა 80%-ით არის დამოკიდებული რუსეთზე ენერგორესურსების იმპორტის თვალსაზრისით.

- პრორუსულმა გამოცემა „საქართველო და მსოფლიო“-მ [გაიმეორა](#), რომ დასავლეთის მიერ დაწესებული სანქციები რუსეთზე მეტად ზიანს სწორედ დასავლეთს აყენებს და აღნიშნულის გასამყარებლად მოიყვანა ავსტრიის ყოფილი ევროპულ და საერთაშორისო საქმეთა მინისტრ კარინ კნაისლის სიტყვები, რომლის თანახმადაც, სანქციების გამო ევროპა სულ უფრო მეტად კარგავს მნიშვნელობას დემოგრაფიული და პოლიტიკური თვალსაზრისით. გარდა ამისა, გაზეთი ამტკიცებდა, რომ მწვავე ეკონომიკური კრიზისი დასავლური სახელმწიფოების დედაქალაქებში მასშტაბურ ანტისამთავრობო მიტინგებს გამოიწვევს.
- „საქართველო და მსოფლიომ“ ასევე [გამოაქვეყნა](#) პრორუსულად განწყობილი ჟურნალისტისა და „საქართველოს კომუნისტური პარტიის“ ყოფილი ლიდერის ვალერი კვარაცხელიას სტატია, სადაც ის ამტკიცებს, რომ რუსეთის მხრიდან ბუნებრივი აირის მიწოდების შეზღუდვის შედეგად, ევროპელებს ენერგომომარების შემცირებისკენ მოუწოდებენ. დასავლეთში შექმნილი ვითარების სიმძიმის წარმოსაჩენად და აუდიტორიის დასარწმუნებლად, რომ დასავლეთის მიერ დაწესებულმა სანქციებმა უკუშედეგო გამოიღო, ვალერი კვარაცხელიამ მოიყვანა საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტოს ხელმძღვანელის, ფათიჰ ბიროლის, სიტყვები, რომელმაც განაცხადა, რომ მსოფლიოს არასოდეს უნახავს მსგავსი ენერგოკრიზისი და უარესი, შესაძლოა, ჯერ კიდევ წინ არის.
- მორიგი Facebook-გვერდი [ცდილობდა](#) ეკონომიკური ვითარების დამახინჯებულად წარმოჩენას და ამტკიცებდა, რომ „დასავლელი პარტნიორები“ თავდაპირველად დარწმუნებულები იყვნენ, რომ სანქციები რუსეთის ფედერაციის დასუსტებას გამოიწვევდა, თუმცა რუსეთმა შეძლო



ეკონომიკური რესურსების მობილიზება და კიდევ უფრო სწრაფად განვითარება დაიწყო, მაშინ როდესაც ევროპისა და აშშ-ის მოსახლეობას ბენზინსა და ბუნებრივ აირზე გაზრდილი ფასები აწუხებთ.

## პროპაგანდისტული ნარატივები უკრაინისთვის გაწეულ სამხედრო დახმარებასთან დაკავშირებით

სამხედრო დახმარებასთან დაკავშირებით, გამოიკვეთა გზავნილები, რომელთა თანახმადაც, აშშ უკრაინას სამხედრო დახმარებას უწევს იმიტომ, რომ უკრაინამ უკანასკნელ უკრაინელამდე იომოს:

- პრორუსული კონსერვატიული მოძრაობის ერთ-ერთი რეგიონული ოფისის ხელმძღვანელის, არსენ ფოფხაძის, [განცხადებით](#), აშშ-ის მიერ უკრაინისთვის გაწეული სამხედრო დახმარების ფაქტი წარმოადგენს მტკიცებულებას, რომ აშშ-ს სურს ომი და არ ფიქრობს უკრაინაზე, რადგან უნდა, რომ უკრაინამ ბოლო უკრაინელამდე იომოს. კიდევ ერთი Facebook-მომხმარებლის [მტკიცებით](#), უკრაინა ყოველდღე იღებს დიდი რაოდენობით დასავლურ შეიარაღებას და ევროპისა და აშშ-ის დაპირება, რომ უკრაინას შეიარაღებას არ მოაკლებენ ნიშნავს, რომ დასავლეთი რუსეთთან ომს ბოლო უკრაინელამდე აპირებს.

## პროპაგანდისტული გამოცემა საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსის შეცვლას ლობირებს

პრორუსული წყაროები უწყვეტ რეჟიმში ავრცელებენ საქართველოს პროდასავლური საგარეო პოლიტიკის მადისკრედიტებელ გზავნილებს და მხარს უჭერენ პირდაპირი ან არაპირდაპირი პრორუსული საგარეო პოლიტიკის გატარებას:

- კვლავ გაგრძელდა თავდასხმები აშშ-ის ელჩზე საქართველოში. პრორუსული გამოცემა „საქინფორმი“ [ამტკიცებდა](#), რომ კელი დეგნანმა ხელისუფლების გადატრიალების გზით შეცვლის მხარდაჭერის გამო, საქართველოში აშშ-ის პოლიტიკის დისკრედიტაცია მოახდინა. „საქინფორმმა“ ასევე დაადანაშაულა კელი დეგნანი საქართველოში ანტიამერიკული განწყობების გაღვივებასა და ქვეყნის საგარეო და შიდა საქმეებში, განსაკუთრებით კი სასამართლოს საქმიანობაში, ჩარევაში. „საქინფორმმა“ ასევე გაავრცელა შეთქმულების თეორია, რომ აშშ-ის ელჩმა ბიძინა ივანიშვილის აქტივების ექსპროპრიაცია სცადა, რაც ივანიშვილის ქართული პოლიტიკიდან იზოლირებისა და მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებაში დაბრუნების მცდელობას ნიშნავს.
- ლალი მოროშკინამ [განაცხადა](#), რომ დღევანდელ უკრაინას მონსტრები მართავენ. მან უკრაინას საქართველოს მტრად წარმოაჩინა და ამტკიცებდა, რომ უკრაინისა და უკრაინელი ლტოლვილების მხარდაჭერა საქართველოს განადგურებას გამოიწვევს.
- „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ თავმჯდომარე დავით თარხან-მოურავი, პარტიასთან აფილირებული „ტვ ობიექტივის“ ეთერში [ამტკიცებდა](#), რომ საქართველოში მშვიდობის შენარჩუნების ერთადერთ გზას ნეიტრალიტეტის გამოცხადება წარმოადგენს. მან ასევე განაცხადა, რომ NATO დაშლის ზღვარზეა და ამით იგულისხმა, რომ NATO-ში გაწევრების მცდელობა ნებისმიერ შემთხვევაში აზრს მოკლებულია.
- „საქართველოს რეფორმების ასოციაციის“ „დეზინფორმაციის ბრიფის“ გასულ გამოცემებში მრავალჯერ განხილული ნარატივის შესაბამისად, საქართველოს მომავლის ხსნის კიდევ ერთ საშუალებად წარმოაჩენდნენ არა ნეიტრალიტეტს ან პროდასავლურ პოლიტიკას, არამედ რუსეთთან მოლაპარაკებებს და საბოლოო ჯამში კრემლთან მოკავშირეობას. „ალტ-ინფო“ კვლავ [რჩება](#) საქართველოში პრორუსული საგარეო პოლიტიკის უმთავრეს მხარდამჭერად.

აღნიშნული ჯგუფის ერთ-ერთი ლიდერი, ირაკლი მარტინენკო, [ამტკიცებდა](#), რომ რუსეთისგან დაშორება ნიშნავს თურქეთზე დამოკიდებულებას და თურქული სამხედრო ბაზების საქართველოში განთავსებას. „ალტ-ინფოს“ [თანახმად](#), რუსეთი უფრო მეტად დაელაპარაკება იმათ, ვინც მყარად რუსეთის მხარეს იკავებს და მას დროებით მოკავშირედ არ მიიჩნევს. „ალტ-ინფომ“ დასავლეთი ანტიქრისტიანულ ძალად [წარმოადგინა](#), რომელიც საქართველოს რუსეთთან მოლაპარაკებების წარმოებაში ხელს უშლის, ხოლო რუსეთი კი ქრისტიანულ ძალად და საქართველოს ბუნებრივ მოკავშირედ წარმოაჩინა.

- ევგენი პრიმაკოვის სახელობის ქართულ-რუსული საზოგადოებრივი ცენტრის დირექტორმა, დიმიტრი ლორთქიფანიძემ, რომელიც მოლაპარაკებების გამართვის მიზნით მოსკოვში იმყოფებოდა, [განაცხადა](#), რომ მან მოლაპარაკებების მორიგი რაუნდი გამართა უშიშროების და საგარეო საქმეთა საბჭოს წევრებთან და კარნეგის ცენტრის მოსკოვის ფილიალის დირექტორთან. დიმიტრი ლორთქიფანიძის თქმით, შეხვედრებზე განხილულ იქნა რუსულ-ქართული ურთიერთობების შემდგომი განვითარების პერსპექტივები.
- მარგინალურმა პროკრემლისტურმა Facebook-გვერდმა ასევე [გააჟღერა](#) რუსეთის მხარდამჭერ ნარატივი. გვერდის განცხადებით, რუსეთი ყოველთვის იყო ჩვენი სამშობლო, ხოლო საქართველო - დედასამშობლო.
- პრორუსული Facebook-ანგარიში ასევე [ამტკიცებდა](#), რომ რუსეთი გაანადგურებდა აშშ-ს, რაც საქართველოს ამ ბოროტების მთესველი, სისხლისმსმელი და ვერაგი ქვეყნის გავლენისგან გაათავისუფლებდა.

## ყურადღება, ლაპარაკობს მოსკოვი: რუსული დეზინფორმაცია Facebook-სა და Instagram-ზე

რუსული პროპაგანდა კვლავ აგრძელებს თავდასხმებს უკრაინის პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკიზე ვირუსულად გავრცელებული ყალბი Instagram-პუბლიკაციის მეშვეობით, რომლის თანახმადაც ზელენსკი თითქოს ოფიციალურ გვერდზე რუსეთთან დანებების შესახებ აკეთებს განცხადებას. აღნიშნული წარმოადგენს ყურადღების მიპყრობის მიზნის მქონე დეზინფორმაციას, რომელიც „ფაქტ-მეტრმა“ მოცემულ [სტატიაში](#) გააბათილა. პრორუსულმა წყაროებმა ასევე შექმნეს პოლონური გაზეთ „Dziennik“-ის ყალბი პირველი გვერდი, რომელიც ავრცელებდა ცრუ ინფორმაციას, თითქოს „ზელენსკი უკრაინას პოლონეთს დაუბრუნებს“. აღნიშნულის გარდა, სოციალურ ქსელებში ფართოდ ვრცელდება ანტიდასავლური გზავნილები, რომლის თანახმადაც აშშ და ევროკავშირი უკრაინის [მანიპულაციას](#) ეწევიან და მას რუსეთის საწინააღმდეგო [იარაღად](#) იყენებენ. აღნიშნულ კონტექსტში, პრორუსული წყაროების სამიზნედ იქცა ამერიკელი სენატორი ლინდსი გრემი, რომლის ერთ-ერთი ბოლო განცხადებიდან [კონტექსტიდან ამოღებულად](#) წარმოაჩინეს ფრაზა, სადაც სენატორი ხაზს უსვამს უკრაინელების მაღალ მზაობას იბრძოლონ რუსეთის წინააღმდეგ და აცხადებს, რომ „[თუ უკრაინელები საჭირო დახმარებას მიღებენ] ისინი მზად არიან უკანასკნელ ადამიანამდე იმომონ“. აღნიშნულის მსგავსად, კონტექსტიდან ამოღებულად იქნა წარმოჩენილი კიდევ ერთი ამერიკელი კონგრესმენის მაიკ უოლცის [განცხადება](#), სადაც მან უკრაინისთვის დახმარების გაზრდისკენ მოუწოდა. აღნიშნულის გარდა, უკრაინის წინააღმდეგ აგრესიის ლეგიტიმაციის უზრუნველყოფის მიზნით, ასევე იმის წარმოსაჩენად რომ ე.წ. სპეციალურ სამხედრო ოპერაციას დასავლეთშიც კი ჰყავს მხარდამჭერები, რუსული პროპაგანდა [ავრცელებდა](#) 2009 წლის ვიდეოს, სადაც შერეული საბრძოლო ხელოვნების ამერიკელი მებრძოლი დონ ფრაი ვლადიმირ პუტინის მიმართ აღტაცებას გამოხატავს.



ანგარიში მომზადდა „საქართველოს რეფორმების ასოციაციის“ (GRASS) მიერ „პარტნიორობა ღია ინფორმაციისთვის“ (Open Information Partnership (OIP)) მხარდაჭერით. ანგარიში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შესაძლოა არ გამოხატავდეს OIP-ის პოზიციებს.